№563 2016 წლის 31 მარტი ქ. თბილისი

სსიპ - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიის მიერ საქართველოს მთავრობასა და ევროკომისიას შორის 2007 წლის 18 ივნისს გაფორმებული ჩარჩო ხელშეკრულების ფარგლებში, სსიპ - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიასა და საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობას შორის „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ხელშეწყობა ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლაში“ საგრანტო ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვების პროცედურების გამოყენების შესახებ

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, საქართველოს პარლამენტის 2007 წლის 29 ნოემბრის №5506-რს დადგენილებით რატიფიცირებული, საქართველოს მთავრობასა და ევროკომისიას შორის 2007 წლის 18 ივნისს გაფორმებული ჩარჩო ხელშეკრულების ფარგლებში, სსიპ - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიასა და საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობას შორის გაფორმებული საგრანტო ხელშეკრულების შესაბამისად, მიეცეს უფლება სსიპ - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიას, ევროკავშირის მიზნობრივი გრანტის განკარგვისას იხელმძღვანელოს ამავე საგრანტო ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვების პროცედურებით.

პრემიერ-მინისტრი **გიორგი კვირიკაშვილი**